ანალიტიკური სტატია:

საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი **კორუფციასთან** ბრძოლის კუთხით

ავტორი:
ინგა სიორიღია

2023, მარტი

ანალიტიკური სტატია
30 მარტი, 2023 წ.

საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი კორუფციასთან ბრძოლის კუთხით

ინგა სიორდია

აბსტრაქტი

კორუფცია არსებობს ათასობით წელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ის გახდა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი და მნიშვნელოვანი პრობლემა ყველა ქვეყნისთვის. საინტერესოა, ეს საკითხისადმი ინფორმირებულობის გაზრდამ განაპირობა თუ პრობლემის მასშტაბურობამ?

კორუფცია რთული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენია, რომელიც გავლენას ახდენს ყველა ქვეყანაზე. კორუფცია აფერხებს დემოკრატიული ინსტიტუტების მუშაობას, იწვევს პოლიტიკურ და სამთავრობო არასტაბილურობას, ამახინჯებს დემოკრატიის საფუძველს - საარჩევნო პროცესს, ანელებს ეკონომიკურ განვითარებას, აფერხებს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებას. მისი შედეგები გრძელვადიანია და საფრთხეს უქმნის საზოგადოების უსაფრთხოებას.

წლებია, ადამიანები ებრძვიან კორუფციას. ზოგმა შეძლო მისი დამარცხება და ქვეყნის განვითარების ახალ საფეხურზე გადაყვანა. წინამდებარე ნაშრომის დაკვირვების მთავარი ობიექტი სწორედ იმ საუკეთესო გამოცდილების მქონე ქვეყნებია, რომლებმაც შეძლეს კორუფციის აღმოფხვრა ან წარმატებულ მცდელობებს გადიან ამ მიმართულებით.

ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები:

1. საუკეთესო პრაქტიკა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში:

    - კენია და ეთიოპია: ღია და ინკლუზიური მთავრობა;
    - ინდოეთი (ანდრა პრადეში): ციფრული ტრანსფორმაცია;
    - უკრაინა და რუმინეთი: აქტივებისა და ქონებრივი დეკლარაციების გამჭვირვალობა.

განხილულია თითოეულ ქვეყანაში კონკრეტული პრაქტიკის დანერგვის წინაპირობა და შედეგი;

2. ანტი-კორუფციული სააგენტოების ეფექტურობა:
    - იმის შეფასება, არის თუ არა სააგენტოს შექმნა ეფექტური პასუხი ქვეყნის ანტიკორუფციულ სტრატეგიაში;
    - იმ ფაქტორების ანალიზი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ანტიკორუფციული ინსტიტუტების წარუმატებლობა.

3. UNCAC-ის (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კორუფციის წინააღმდეგ) მიერ შემოთავაზებული სტანდარტების განხილვა მსგავსი ინსტიტუტებისთვის.

4. დიდი ბრიტანეთის, ლიეტუვისა და ბუტანის გამოცდილება და ჰონგ კონგის წარმატება.

შესავალი

სიღარიბე. უთანასწორობა. უსამართლობა. გაუმართავი საჯარო სერვისები. დაუსჯელი პოლიტიკოსები. მოჩვენებითი პროფესიონალიზმი და ცრუ დიპლომები - მოცემულობა, რომელიც საერთოა, კორუფციის პრობლემის წინაშე მდგარი, ყველა ქვეყნისათვის;

„კორუფციის კიბო" - მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის, ჯეიმს ვოლფენსონის სიტყვები, რომლებმაც კორუფციის პრობლემა მსოფლიო ბანკის დღის წესრიგში 1996 წლიდან დააყენა. მას შემდეგ, ბანკი აქტიურად მუშაობს კორუფციის მავნე გავლენის შემცირებაზე. ამას ახერხებს ინსტიტუციური სისტემების, სტიმულის, ანგარიშვალდებულებისა და აღსრულების მექანიზმების დანერგვით.

ეთიოპიის, კენიის, ანდრა პრადეშის, უკრაინისა და რუმინეთის კორუფციასთან ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკა, სწორედ მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობის შედეგად შემუშავდა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირება კენიაში

კენია არის აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყანა, რომელიც წარმატებით ახორციელებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების რეფორმებს, რაც გულისხმობს ბიუჯეტის ნაწილის გამოყოფას მოქალაქეების პრიორიტეტებზე და საშუალებას აძლევს მათ დააკვირდნენ, თუ როგორ იხარჯება სახელმწიფო ფული. კენიის კონსტიტუციის მე-6 მუხლი, დევოლუციის შესახებ, არის კონსტიტუციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გულისხმობს ძალაუფლების, პასუხისმგებლობისა და რესურსების განაწილებასა და გადაცემას, ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივ ხელისუფლებაზე. დევოლუციის მთავარი მიზანია, საზოგადოების მონაწილეობის დაშვება. კონსტიტუციაში არსებულმა ამ მუხლმა, მოამზადა ნიადაგი მონაწილეობითი ბიუჯეტირების რეფორმისთვის.

ქვეყანა დაიყო ქვედანაყოფებად, ქვედანაყოფები პალატებად და პალატები ქვე-პალატებად და სოფლებად. მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავდა ორეტაპიანი პროცესი, მონაწილეობითი ბიუჯეტირების განხორციელებისთვის. კენიის მთავრობის მთავარი გამოწვევა იყო ბიუჯეტის პროცესის ადგილობრივ კონტექსტთან ადაპტაცია. ერთ-ერთ რაიონში, მაკუენში, მეტ-ნაკლებად, უმტკივნეულო გამოდგა, მოქალაქეთა შეხვედრების პრიორიტეტების განსაზღვრის წინასწარი გამოცდილება და პროცესი. პროექტები მოქალაქეთა საჭიროებიდან გამომდინარე შეირჩა და მათი მონიტორინგის მიზნით შეიქმნა პროექტების მართვის კომიტეტები.

ბიუჯეტის მონაწილეობითი რეფორმები შექმნილია იმისთვის, რომ საჯარო ფული დაიხარჯოს თემის მთავარ პრიორიტეტებზე და არა კორუფციაზე. კენიის შემთხვევაში, მონაწილეობითი ბიუჯეტირების შემოღებამ შეამცირა კორუფცია, რადგან მოქალაქეები უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი ბიუჯეტის განაწილების პროცესში და ჰქონდათ მეტი ინფორმაცია პროცესზე, რაც შემდგომ იწვევს ანგარიშვალდებულების ზრდასაც.

სოციალური ანგარიშვალდებულების გაძლიერება ეთიოპიაში

სოციალური ანგარიშვალდებულების პროგრამა 2 (ESAP 2) ეთიოპიაში, მიზნად ისახავდა მოქალაქეებს, სერვისების მიმწოდებლებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების

ჩართულობითა და ანგარიშვალდებულების ინსტრუმენტების დანერგვით, ESAP 2 ცდილობდა გაეუმჯობესებინა საჯარო სერვისები და გაეძლიერებინა მოქალაქეების ნდობა მთავრობის მიმართ.

ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო ადგილობრივი მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისგან უკუკავშირის მიღების მექანიზმების არარსებობა. ESAP 2 მიზნად ისახავდა ამ პრობლემის მოგვარებას მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობისა და ნდობის გაძლიერების გზით. ფინანსთა სამინისტროს ღია მხარდაჭერამ ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის მთავრობისადმი სკეპტიციზმის შემსუბუქებას.

ESAP 2-მა უზრუნველყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობა. საჯარო სერვისების, მთავრობის როლის, მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ცნობიერებისა და ცოდნის გაზრდით, პროგრამა მიზნად ისახავდა კორუფციასთან ბრძოლას და გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობას. მთავრობის საქმიანობაზე მოქალაქეთა ზედამხედველობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა კორუფციის პრევენციასა და შემცირებაში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არ წარმოადგენდა ESAP 2-ის ძირითად მიზანს.

ციფრული ტრანსფორმაცია ანდრა პრადეშში, ინდოეთში

ანდრა პრადეშში, შტატი ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, დაინერგა ინოვაციური და ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პრაქტიკა კორუფციასა და თაღლითობის წინააღმდეგ საბრძოლველად. შტატის მთავრობამ 2010 წელს წამოიწყო 300 მილიონი დოლარის ღირებულების რვაწლიანი მუნიციპალური განვითარების პროექტი. გამოიყენა დრონები, ხელოვნური ინტელექტი და სხვა ტექნოლოგიები გეოსივრცული მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისთვის.

პროექტის მიზანი იყო, სახელმწიფოს 50 მილიონი მოქალაქისთვის, გაუმჯობესებული საჯარო სერვისების მიწოდება. მზარდი ურბანიზაციისა და მოსახლეობის ზრდის პირობებში, გამოწვევას წარმოადგენდა ქონების გადასახადის, წყალმომარაგებისა და სხვა ძირითადი სერვისების შედგენისა და შეფასების პროცესი. ასევე, მთავრობამ შემოიღო უკუკავშირის სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეებს შეაფასონ გაწეული მომსახურება.

დრონების გამოყენება აღმოჩნდა ფინანსურად ხელსაყრელი და მაღალი ხარისხის მეთოდი მონაცემთა შეგროვებისთვის, დრონის სურათები სხვა მონაცემებთან იყო დაკავშირებული მრავალი აპლიკაციის საშუალებით და გაანალიზებული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. სამშენებლო ნებართვების ონლაინ პლატფორმამ შეამცირა დისკრეცია ნებართვის გაცემის პროცესში და შეამცირა თაღლითობისა და კორუფციის შესაძლებლობები.

უფრო მეტიც, მთავრობამ დანერგა ტრენინგებისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამები, რათა უზრუნველეყო მუნიციპალური თანამშრომლებისა და მოქალაქეების მიერ ახლადდანერგილი ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება. პროექტის წარმატება შეიძლება მივაწეროთ სახელმწიფო ლიდერების ძლიერ პოლიტიკურ ნებას და მოქალაქეების პროაქტიულად ჩართვას.

ანდრა პრადეშის ციფრულმა ტრანსფორმაციამ გამოიწვია მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მმართველობაში, შეამცირა თაღლითობის შესაძლებლობები ისეთ სფეროებში, როგორიცაა

გადასახადები და სამშენებლო ნებართვები. რეფორმებმა პროცესი მეტად გამჭვირვალე და ინკლუზიური გახადა, გაზარდა მთავრობის ანგარიშვალდებულება მოქალაქეების წინაშე. ამ ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა განაპირობა საჯარო სერვისების გაუმჯობესება და მონიტორინგი, ასევე გაიზარდა შემოსავლები გადასახადებიდან.

ანდრა პრადეშის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტექნოლოგია შეიძლება იყოს კარგი მმართველობისა და სერვისის მიწოდების შესანიშნავი საშუალება იმ პირობით, რომ იარსებებს პოლიტიკური ნება და მოქალაქეებისა და მთავრობის ძლიერი მონაწილეობა ამ ტექნოლოგიის გამოყენებაში.

აქტივების გამჭვირვალობის რეფორმა უკრაინაში

1990-იანი წლების ბოლოს უკრაინამ დაიწყო კორუფციასთან ბრძოლა საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციის გასაჯაროებით, რომელიც საბოლოოდ განხორციელდა 2014 წელს. თუმცა 2014 წელს ევრომაიდანის სახელით ცნობილი სამოქალაქო საპროტესტო აქციები გახდა გარდამტეხი მოვლენა უკრაინაში კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით. საპროტესტო აქციებმა, რომელიც უპირველეს ყოვლისა ევროკავშირთან ინტეგრაციას ისახავდა მიზნად, დღის წესრიგში დააყენა კორუფციის საკითხი.

შეიქმნა ელექტრონული სისტემა, რომელიც მიზნად ისახავდა საჯარო მოხელეთა ქონების მონიტორინგს, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებასა და აქტივების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. სისტემის დიზაინი მოიცავდა აქტივების გასაჯაროების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ ფორმას, მონაცემთა უსაფრთხო შენახვას, საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებ-საიტებსა და მექანიზმს, რომელიც იცავდა მონაცემებს გაყალბებისგან.

უკრაინა იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც შემოიღო დეკლარაციების ავტომატური ანალიზი, მათ შორის, ჯვარედინი შემოწმება. სისტემაში წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი დაუყოვნებლივ გახდა ხელმისაწვდომი აპლიკაციის პროგრამირების ღია ინტერფეისის (API) საშუალებით, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს შეიმუშაონ მონიტორინგის ახალი ინსტრუმენტები. ელექტრონული დეკლარაციის ახალი სისტემა იყო დიდი მიღწევა, ჟურნალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და, პირველ რიგში, ამომრჩევლებმა მოიპოვეს წვდომა საჯარო მოხელეთა კონფიდენციალურ დეკლარაციებზე, რამაც ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი მეტად გამჭვირვალე გახადა.

უკრაინაში განხორციელებული რეფორმის რამდენიმე ასპექტმა გამოავლინა ის, როგორც აქტივების საჯაროობის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მოდელი მთელ მსოფლიოში. „უკრაინის ქონებრივი დეკლარაციების სისტემა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა გლობალურად დაფარული ინფორმაციის, ინოვაციური ციფრული გადაწყვეტილებების გამოყენებისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით“, - თქვა ივან პრესნიაკოვმა, კორუფციის პრევენციის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ. უკრაინის ეს მოდელი უნიკალურია რამდენიმე მახასიათებლით. პირველი, მოცემული მონაცემები ყოვლისმომცველია და თითქმის არ იკვეთება ხარვეზები სისტემის ბოროტად გამოყენებისთვის. მეორე, არსებობს მკაცრი სანქციები ყალბი მონაცემების ან დაგვიანებული წარდგენისთვის. და მესამე, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, თითქმის ყველა მონაცემი გასაჯაროებულია, რაც გარანტიას იძლევა, რომ ნებისმიერი თანამდებობის პირის ქონება საზოგადოების ან სამართალდამცავი ორგანოების ყურადღების ცენტრშია.

უკრაინის ციფრული დიზაინის მიდგომა ბევრ სარგებელს იძლეოდა, მაგალითად, ელექტრონული დეკლარაციის მონაცემები ხელმისაწვდომი იყო ე.წ. machine-readable წასაკითხ ფორმატში. ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ გამოიწვია სამოქალაქო საზოგადოების აქტივიზმი, მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტების გაჩენა და სამოქალაქო საზოგადოებისა და ჟურნალისტიკის ე.წ watchdog საქმიანობის ახალი ფორმები.

ციფრულმა მიდგომამ, ასევე, საშუალება მისცა კორუფციის პრევენციის სააგენტოს მუდმივად გაეუმჯობესებინა სისტემა დამატებითი ფუნქციების ათვისებით, როგორიცაა ავტომატური ჯვარედინი შემოწმება რეგისტრებთან; იყო ხარჯთეფექტური, შეამცირა ხელის შრომა და ქაღალდის ფორმის დამუშავება.

პროცესის წარმატების მიუხედავად, კორუფციის პრევენციის სააგენტომ საზოგადოების ნდობა ვერ მოიპოვა. დეკლარაციების გადამოწმება და შეუსრულებლობისთვის სანქციების დაწესება დარჩა მის სუსტ წერტილად. სააგენტოს ახალი რეფორმა სჭირდებოდა, რაც 2020 წელს ახლადარჩეულმა ხელმძღვანელმა განახორციელა.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა ამ კუთხით ჯერ კიდევ გამოწვევების წინაშე დგას, აქტივების გამჭვირვალობის ახალი სისტემა აღიარებულია, როგორც კორუფციის მაღალი დონის მქონე ქვეყნის რეპუტაციის შემობრუნების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი.

ქონებრივი დეკლარაციების რეფორმა რუმინეთში

რუმინეთი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა კორუფციასთან ბრძოლაში, განსაკუთრებით საჯარო მოხელეებთან მიმართებით, რომლებიც მოულოდნელად გამდიდრდნენ ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ. 1996 წელს რუმინეთმა სავალდებულო გახადა აქტივების გასაჯაროება საჯარო მოხელეებისთვის, მაგრამ სისტემამ ვერ შეასრულა დაპირებები. გამჭვირვალობის მექანიზმის შემუშავების გარეშე ამ კუთხით ქვეყანაში წინსვლა არ მოხდებოდა. არსებული ვითარების გამოსწორებისთვის ფართო ფანჯარა გაიღო მაშინ, როდესაც რუმინეთმა აქტიურად დაიწყო ევროკავშირთან ურთიერთობა.

საკითხი მდგომარეობდა შემდეგში: კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ევროკავშირში მისაღებად. შეიქმნა ANI (ეროვნული კეთილსინდისიერების სააგენტო), როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სააგენტო, თუმცა ანგარიშვალდებულების მექანიზმების არარსებობა კვლავ პრობლემურ საკითხად რჩებოდა.

რუმინეთის რეფორმა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში და კეთილსინდისიერების ხელშეწყობაში მნიშვნელოვნად განპირობებულია რამდენიმე ძირითადი სამართლებრივი და ოპერატიული ფაქტორით. ამ ფაქტორებმა ხელი შეუწყო სააგენტოს (ANI) წარმატებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ინფორმაციის მარტივად მოთხოვნისა და მოპოვების შესაძლებლობა როგორც საჯარო, ისე კერძო პირებისგან, მათ შორის საგადასახადო ორგანოებისა და ფინანსური ინსტიტუტებისგან, აძლევს ANI-ს საფუძვლიანი გამოძიების ჩატარების უფლებას. ეს წვდომა საშუალებას აძლევს ANI-ს შეაგროვოს მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და უფრო ეფექტურად გამოავლინოს დარღვევები.

ასევე, ANI-ს წარმატება მიეკუთვნება მისი ოპერატიული პერსონალის მიერ შემუშავებულ და გამოყენებულ ყოვლისმომცველ მეთოდოლოგიასა და პროცედურებს. მათ შორისაა შაბლონების გამოყენება კომუნიკაციისთვის, სტანდარტიზებული სამუშაო მეთოდები,

სტრატეგიები და სცენარები. ასეთი სტანდარტიზებული პრაქტიკა უზრუნველყოფს საქმეების განხილვის თანამიმდევრულობასა და ეფექტურობას, რაც საშუალებას აძლევს ANI-ს, გაამარტივოს თავისი ოპერაციები და მიაღწიოს საიმედო შედეგებს.

რუმინეთის გამოცდილება აჩვენებს ყოვლისმომცველი მიდგომის უპირატესობას, რომელიც ორიენტირებულია როგორც პრევენციაზე, ასევე სანქციებზე. რუმინეთის მსგავსი ქვეყნის კონტექსტში, სადაც არის დარღვევების მაღალი დონე, რომელიც დაკავშირებულია როგორც სიმდიდრის გაუმართლებელ ცვალებადობასთან, ინტერესთა კონფლიქტთან, მნიშვნელოვანია განხილული იყოს ყოვლისმომცველი მიდგომა, მხოლოდ პროფილაქტიკური ზომები არ იქნება საკმარისი.

აღსანიშნავია, რომ აქტივების გასაჯაროება მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მას შემდეგ, რაც დეკლარაციები საჯარო გახდა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა, ჟურნალისტებმა და მოქალაქეებმა შეძლეს გადაემოწმებინათ, თუ რას ფლობდნენ საჯარო მოხელეები და შეედარებინათ იგი სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციისთვის. გამჭვირვალობამ ხელი შეუწყო აქტიური მოქალაქეობისა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების კონსოლიდაციას.

ანტიკორუფციული სააგენტოები

დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა არის პოზიტიური ნაბიჯი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ (UNCAC) აღიარებს მას, როგორც ამ პროცესის მთავარ მოთამაშეს. ამ ინსტიტუტის გამართულ ფუნქციონირებას, UNCAC სტანდარტის მიხედვით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დადებითი შედეგის მიღებისთვის.

კონვენციის მიერ შემოთავაზებული სტანდარტი მოითხოვს, რომ ანტიკორუფციული სააგენტო იყოს დამოუკიდებელი, სპეციალიზებული, დაკომპლექტებული და ჰქონდეს საკმარისი რესურსი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. ამგვარი ინსტიტუტების ეფექტურობა კორუფციასთან ბრძოლაში, შესამჩნევია ბევრ ქვეყანაში, მათ შორის დიდ ბრიტანეთში, ლიეტუვაში, ბუტანსა და ჰონგ კონგში.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ანტიკორუფციული სააგენტოების შექმნა წარმატების გარანტიას არ იძლევა. პრობლემის სწორად იდენტიფიცირება და სტრატეგიის სწორად შემუშავება მნიშვნელოვანია. ხშირ შემთხვევაში, ქვეყნები ვერ ავითარებენ სტრატეგიას სააგენტოს შექმნამდე, რაც ზღუდავს მათ ეფექტურობას.

ამგვარად, ანტიკორუფციული სააგენტოების წარმატება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა პრობლემის სწორად იდენტიფიცირება, შესაბამისი რესურსები და კადრები, კარგად დაგეგმილი სტრატეგია. წარუმატებლობის პოტენციალის მიუხედავად, UNCAC აღიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების მნიშვნელობას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო ის, რომ გაერთიანებული სამეფო განიხილებოდა, როგორც უსაფრთხო და სასურველ ადგილად უკანონო ფინანსური კაპიტალისთვის, რაც ნამდვილად წარმოადგენდა საფრთხეს ბრიტანეთის რეპუტაციისთვის. მთავრობის 2014 წლის ანტიკორუფციული გეგმა ქვეყანაში

კორუფციასთან ბრძოლას ისახავდა მიზნად, თუმცა გაერთიანებული სამეფოს ინსტიტუციონალურმა ლანდშაფტმა, უწყებებისა და საბჭოების სიმრავლით, შეზღუდა კოორდინირებული მუშაობა საერთაშორისო კორუფციის პრევენციის მიმართულებით. დაახლოებით 50 პოლიციელის და ეროვნული უფლებამოსილების მქონე რამდენიმე სააგენტოს, როგორიცაა დანაშაულის ეროვნული სააგენტო (NCA), სერიოზული თაღლითობის სამსახური (SFO) და Crown Prosecution Service (CPS), უწყებებს შორის კოორდინირებული ურთიერთობების განვითარება რთული იყო. აღსანიშნავია დანაშაულის ეროვნულ სააგენტოში საერთაშორისო კორუფციის განყოფილების (ICU) შექმნა. ICU შეესაბამება გაეროს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიზნებს. ICU აღჭურვილია საერთაშორისო კორუფციის გამოძიებისა და პრევენციის მიზნით ახალი ინიციატივების განსახორციელებლად.

ლიეტუვა

საინტერესოა ლიეტუვას გამოცდილება კორუფციასთან ბრძოლაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნის სტატუსის გათვალისწინებით. საბჭოთა ინსტიტუტებისა და ბიუროკრატიის ნეგატიური გავლენა დემოკრატიაზე, გარდამავალ პერიოდში, გარდაუვალი ტვირთია პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის. ლიეტუვას აქტიური ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ ევროკავშირთან ურთიერთობით დაიწყო. ევროკომისიამ გაწევრიანების ფარგლებში ხაზი გაუსვა ქვეყანაში კორუფციის დამარცხების აუცილებლობას. შეიქმნა სოციალური საგამოძიებო სამსახური (STT) მრავალპარტიული მხარდაჭერით, რათა მომსახურებოდა სეიმასა და პრეზიდენტს კორუფციასთან ბრძოლაში.

FBI-ს მსგავსი ეფექტური და ეკონომიკურად შესაძლებელი მოდელის, STT-ს წარმატება რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ის თავდაპირველად განიხილებოდა როგორც კვაზი სამართალდამცავი სააგენტო, რომელიც ორიენტირებული იყო კორუფციაზე, კონკრეტულად, მექრთამეობასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე. გარდა ამისა, მას ჰყავდა ძლიერი ხელმძღვანელობა, რომელიც ერთგული იყო ძირითადი ფუნქცია-მოვალეობების. STT-მ ასევე დაამყარა კავშირები ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან ღირებული ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად ამ წარმატებისა, STT არ იყო ეფექტური კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით. მას, ისევე, როგორც ბუტანის ACC-ის არ ჰქონდა ეფექტური გავლენა კორუფციაზე, ძირითადად, მიმართული იყო რისკის სექტორზე, სარეკლამო მასალასა და ერთობლივ მუშაობაზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანოებთან განათლებისა და ღირებულებების ხელშეწყობისთვის.

ბუტანი

ბუტანის ანტიკორუფციული კომისია (ACC) კი შეიქმნა 2005 წლის კონსტიტუციური შეთანხმების ფარგლებში, რომლის მიზანი თავიდანვე კორუფციის აღმოფხვრა იყო. ACC-ს, როგორც ერთიან სააგენტოს ეკისრებოდა პასუხისმგებლობების ფართო სპექტრი. მალევე გაიზარდა მისი საქმიანობა და პერსონალი, 120-ზე მეტი თანამშრომელი გამოძიების, პრევენციისა და მენეჯმენტის სფეროებში.

ACC-მ შეიმუშავა ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია, ოპერაციების სახელმძღვანელო და ეროვნული მთლიანობის შეფასების მოდელი, სამხრეთ კორეის

ანტიკორუფციულ სააგენტოსთან ერთად. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიას არ ჰქონია სასურველი ეფექტი. გარემოსდაცვითი და კორუფციული რისკების არასათანადოდ შეფასებამ გავლენა იქონია ეროვნულ სტრატეგიაზე და განაპირობა მისი მეტ-ნაკლებად არაეფექტურობა. ასევე, ACC-მ გამოავლინა უწყებებში ანგარიშვალდებულების, ეთიკური ლიდერობისა და კორუფციის პრევენციის ღონისძიებების გაზრდის საჭიროება.

საერთო ჯამში, ACC-ის სტრუქტურა ასახავს კარგი პრაქტიკის მიდგომებს, მისი ფუნქციების მართვასა და განხორციელებაში, თუმცა მიდგომები კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით არაეფექტურია.

ჰონგ კონგი

ჰონგ კონგი განიხილება კორუფციასთან ბრძოლის იმ მცირე წარმატებულ მოდელთა შორის, რომელმაც უზრუნველყო ქვეყნის გათავისუფლება ფესვგამდგარი კორუფციისგან. კორუფციის წინააღმდეგ დამოუკიდებელმა კომისიამ (ICAC) გაატარა სამი მიმართულების სტრატეგია: შეკავების, პრევენციისა და განათლების. მისი წარმატება შეიძლება მივაწეროთ საჯარო საჩივრების ეფექტურ სისტემას, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმებზე ფოკუსირებასა და მყარ საკანონმდებლო ბაზას. ICAC-ის სტრუქტურა მოიცავს სამ ცალკეულ განყოფილებას: ოპერაციები, პრევენცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა, თითოეულს აქვს კონკრეტული პასუხისმგებლობა. კორუფციის წინააღმდეგ დამოუკიდებელმა სააგენტომ თავისი არსებობის მანძილზე შეძლო და აღმოფხვრა ხელისუფლებაში არსებული ყველა აშკარა კორუფციული შემთხვევა. შედეგად, ბიზნეს გარემო გახდა უსაფრთხო ინვესტორებისთვის; ტარდება მაღალი დონის არჩევნები; ჰონგ კონგი გამოირჩევა საუკეთესო პრაქტიკით ისეთ სფეროებში, როგორიცაა სახელმწიფო შესყიდვები, მშენებლობა, ფინანსური სექტორები, ადამიანური რესურსების მართვა და ა.შ.

ჰონგ კონგის წარმატების მთავარი ფაქტორი ისაა, რომ მან კარგად გამოიკვლია მისი უნიკალური გარემო და შეიმუშავე მასზე მორგებული მოდელი. ნებისმიერი ცვლილება თუ რეფორმა იმ ქვეყნის რეალობას უნდა იყოს მორგებული, რომელშიც ხორციელდება.

დასკვნა

მოცემულ ანალიტიკურ სტატიაში განხილული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანია კორუფციასთან ბრძოლის ეფექტური ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ისეთ სფეროებს, როგორიცაა ციფრული ტრანსფორმაცია, აქტივებისა და ქონებრივი დეკლარაციების გამჭვირვალობა, ინკლუზიური მთავრობა.

ანტიკორუფციული სააგენტოები, მიუხედავად მათი მოდელების სხვადასხვობისა, უნდა აკმაყოფილებდეს გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის სტანდარტებს, რაც გულისხმობს იმას, რომ სააგენტოები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი, სპეციალიზებული, დაკომპლექტებული და ჰქონდეთ საკმარისი რესურსი თავიანთი როლისა და ფუნქციების შესასრულებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

World bank group, Global report 2020, Enhancing Government Effectiveness and Transparency: The fight Against Corruption;

https://documents1.worldbank.org/curated/en/235541600116631094/pdf/Enhancing-Government-Effectiveness-and-Transparency-The-Fight-Against-Corruption.pdf?fbclid=IwAR3MYCyZEwwglmuZHJJH-xdbtjn8vbhF4iE7pPPJGB93lPB8I7JAOIyUtDw

Naomi Gichuki, Kenya's Constitutional Journey: Taking Stock of Achievements and Challenges;

https://www.nomos-elibrary.de/10.5771/2363-6270-2015-1-130.pdf?download_full_pdf=1

UNITED NATIONS OFFICE ON DRUGS AND CRIME, UNITED NATIONS CONVENTION AGAINST CORRUPTION, 2004;

https://www.unodc.org/documents/brussels/UN_Convention_Against_Corruption.pdf

Hong Kong ICAC, about ICAC-brief history

https://www.icac.org.hk/en/about/history/?fbclid=IwAR3wW2Tu4m_XEW5fRwlkcjCvXHs8EQECdUXMZgEhMdhXMCkzHlm1DTSZHOc;

Jeff Huther & Anwar Shah, Anti-corruption policies and programs: A Framework for evaluation;

https://documents1.worldbank.org/curated/en/578241468767095005/118518323_20041118114620/additional/multi-page.pdf?fbclid=IwAR0z5FXOIz5njqvJm41c70X7OWuIR7nPBbRH4tzf4w-T8t-uYv3nvtoqDTI

The World Bank, THE World Bank's Anti-corruption guidelines and sanctions reform;

https://www.worldbank.org/content/dam/documents/sanctions/other-documents/osd/User%20Friendly%20Version%20of%20the%20Anti-Corruption%20Guidelines.pdf?fbclid=IwAR0Po-fVcLd4y9ll3oCJviJZjEOWDh9uvjG0BcNXhIz-Cb5GghWq-kZ7TVg

Tony Kwok Man-wai, Successful anti-corruption strategy & international good practices.

https://www.unafei.or.jp/publications/pdf/RS_No86/No86_16VE_Man-wai.pdf